მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო– საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №2

ქ. მარტვილი 15 მარტი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე, დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ მელიავა, ლევან სურმავა, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია.
სხდომას ასევე ესწრებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია.
სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მელიავა.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ დღის წესრიგი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1.მარტვილის მუნიციპალიტეტს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;
/მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.
/მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.
მოისმინეს 1: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ დანელიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას დაუსვა კითხვები, რომელიც შეეხებოდა ტურიზმის განვითარების როლს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართებაში, რასთან დაკავშირებითაც ბონდო თოფურიამ უპასუხა, რომ ტურიზმის განვითარებიდან თანხების პირდაპირი ასახვა ადგილობრივი ბიუჯეტში არ ხდება, ხოლო რაც შეეხება საშემოსავლოსა და დღგ–ს კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები გაზრდილია საიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ ტურიზმის განვითარების ზეგავლენაზე ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართებაში.
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების შესახებ.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.
მოისმინეს 2: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე დადებითად შეფასების შესახებ.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
მესამე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.
მოისმინეს 3: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიში და სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს კომისიის წევრებმა რის შემდეგაც
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე საკითხი და
ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მელიავა